

## განმარტებითი ბარათი

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის  
პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია კანონის მოქმედ რედაქციაში არსებული სამართლებრივი ხარვეზის აღმოფხვრის და კანონის სრულყოფის აუცილებლობა.

ა.ბ.) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საინვესტიციო ხასიათის დავების არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის მომწესრიგებელი ნორმის სრულყოფა. კერძოდ, კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია შემდეგი თანმიმდევრობა:

(ა) დავის გადაწყვეტისას, ყველა შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ წესს.

ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, კანონი სრულ შესაძლებლობას აძლევს მხარეებს მათ შორის არსებული დავა გადაწყვიტონ მხარეთა მიერვე განსაზღვრული წესით. ბუნებრივია, მხარეებს უფლება აქვთ საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრონ ასევე ნებისმიერი საარბიტრაჟო ორგანო, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა;

(ბ) მხარეთა შეთანხმების არარსებობისას დავას განიხილავს ან საქართველოს სასამართლო, ან საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრი (ICSID).

მოცემულ შემთხვევაში კანონი ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ საქართველოში განხორციელებული (განსახორციელებელი) ინვესტიციის მიმართ საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ კომპეტენცია.

ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არის „სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოს სუბიექტებს შორის არსებული



კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ღაშა თორდია და მურთაზ ზოდელავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ღაშა თორდია და მურთაზ ზოდელავა.